3-II/1935. 12.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა საქმისათვის იყავ მზად!

„პიონერი“

№ 5

საქართველოს ა.ლ.კ.კ. ცენტრალური კომიტეტისა და
განსახკომის ერთთვიური ჟურნალი

მაისი
1935
წელიწადი მე-11
რედაქციის მისამართი:
კიროვის ქ., № 7.
ახალგაზრდობის და საბავშვო
სექტორი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

		გვ.
1.	პირველი მაისი—**გ. ქუჩიშვილისა**	1
2.	პატარა ესკიმოსი - თარგმანი **თ. ს-ძისა**	1
3.	ოქროს თევზი და მებადური—თარგმანი **ა. ახნაზაროვისა**	5
4.	მოწაფეობას—**გ. ქუჩიშვილისა**	6
5.	ჯულბარსი—თარგმანი **ნ. ქოჩიაშვილისა**	7
6.	საიდუმლო ნიშნები—გადმოკეთ. **თ. ჩერქეზიშვილისა**	10
7.	ეს სტალინელი პიონერია—**ნ. ფხაკაძე**	13
8.	საბავშვო მუსიკა	14
9.	წერილი ბებიას—**გივი მელაძისა**	14
10.	კოლოების ბუდე—**ია ჩხაიძისა**	15
11.	ნოტები—**თ. შავერზაშვილისა**	ყდაზე 4 გვ.

სარედაქციო კოლეგია: ა. გველესიანი, აკ. რეხვიაშვილი (პ/მ. რედაქტორი), ა. ჯანკიევი, ლავ. ჯიჯინაძე (პ/მ. მდივანი), შ. თაბუკაშვილი, შ. სიხარულიძე, გოგრის ჩხეიძე და მ. თოდაძე.

გამომცემლობა „ტექნიკა და შრომა“-ს სტამბა. ტირაჟი 16250. მთვ. რწმუნ.—ა-3649 შეკვ. № 867.

პირველი მაისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ლამაზად ირთვება
ეს პირველი მაისი;
მოდის ხალხი ზვირთებად
და მედგარი ხმა ისმის!

ჰაერში დაფრინავენ
მკვრივ ფოლადის ფრთოსნები;
ქუჩებში მოგრგვინავენ
შრომის ორდენოსნები!

ბავშვებიც შეფენილან
სიმღერებით სერებზე;
ერთიც არ დარჩენილა,
რომ არ ცეკვდეს ცერებზე!

ნეტავ რა შეედრება
ამ ზღვა სანახაობას?!
ვაშა ძალთა შეკრებას!
ვაშა ჯანსაღ თაობას!

გ. ქუჩიშვილი.



1761.

კიშის ალფფოთეგა

პატარა ესკიმოსი კიში მეტად მოსაზრებული, ლონიერი და ჯანსაღი ბიჭი იყო. მან ცამეტჯერ იხილა მზე, რადგან იმ ქვეყანაში მზე ყოველწლიურად ჩადის, და წყვდიადში ეხვევა ყოველივე; შემდეგ წელს მზე კვლავ ჩნდება, რომ ადამიანებმა შეძლონ გათბობა.

კიშის მამა ბოკი, ძლიერ გულადი ადამიანი, შიმშილობის დროს დაიღუპა, როდესაც პოლარულ დათვზე ნადირობდა, რომ საკუთარი სიცოცხლის ფასად გადაერჩინა სოფლის მცხოვრებთა სიცოცხლე. ბრძოლის ქარ-ცეცხლში ის მწვავედ ეკვეთა დათვს და უკანასკნელმა სასიკვდილოდ მოთელა ის; მაგრამ დათვი მაინც მოიკლა და მისმა დიდძალმა ხორცმა სოფლის მცხოვრებნი შიმშილით სიკვდილისაგან იხსნა. ბოკის სიკვდილის შემდეგ დარჩა ცოლი და ერთადერთი ვაჟი — კიში. ადამიანებს მიდრეკილება აქვთ ყოველივე მიივიწყონ, ესკიმოსებმაც მალე დაივიწყეს ბოკის თავგანწირვა; და რადგან კიში ჯერ პატარა ბიჭუნა იყო, დედამისი კი უძლური ქალი, ორივეს შესახებ სწრაფად დაივიწყეს, და ისინი მალე შეიქნენ იძულებული უღარიბეს და საცოდავ ქოხში ჩასახლებულიყვნენ.

ერთ ღამეს სხდომაზე ესკიმოსები შეიკრიბნენ ტომის ბელადის კლოშ-ქვანის ფართო ქოხში, და კიშმა მაშინ ყველა იქ მყოფს დაუმტკიცა, რომ მის ძარღვებში ვაჟკაცური სისხლი ჩქეფს, რომ ის უკვე ბავშვი არ არის. ის მოზრდილი ადამიანის ღირსებით წარმოდგა და სიმშვიდით ელოდა სიჩუმის დამყარებას.

— მართალია, მე და დედაჩემს ხორცს გვაძლევენ, — თქვა მან, — მაგრამ ხორცი ხშირად ძველია და მაგარი, ამის გარდა — ის მეტად ძვლიანია.

ყველა მონადირე, როგორც მოხუცებულნი და ჭაღარანი, აგრეთვე ახალგაზრდები და ლონიერნი, გაოცდა. აქამდე მათ არასდროს გაეგო-

ნათ, რომ ბავშვს მოზრდილსავით ემსჯელა და ასეთი საწყენი სიტყვები პირდაპირ ეთქვა.

მშვიდი და სერიოზული კიში განაგრძობდა თავის სიტყვას:

— მე ვიცი, რომ მამაჩემი ბოკი დიდი მონადირე იყო. ის ორ კარგ მონადირეზე მეტ ხორცს მარტო შოულობდა. ის საკუთარი ხელით ანაწილებდა ხორცს და თვალყურს ადევნებდა, რომ საცოდავ მოხუც ქალსა და უხუცეს კაცს თავიანთი წვლილი მიეღოთ.

— ოჰ, ოჰ, ჰო! — დაიყვირეს მამაკაცებმა. — გააძევეთ ეს ბიჭუკა, დასაძინებლად დააწვინეთ. განა ის მამაკაცია, რომ მოზრდილებთან და მოხუცებულებთან ასეთ ლაპარაკს ბედავს!

მაგრამ კიში გულმშვიდად ელოდა სიჩუმის დამყარებას.

— უგ-გლუკ, შენ ცოლი გყავს, — თქვა კიშმა, — და მის მაგივრად ლაპარაკობ. მასუკ, შენ ცოლი და დედა გყავს და მათ მაგიერ შენ ლაპარაკობ, დედაჩემს ჩემს გარდა არავინ ჰყავს, და ამიტომაც მე ვლაპარაკობ. აი რას გეტყვით: მამაჩემი ბოკი იმიტომ მოკვდა, რომ ნადირობის დროს ძალზე ფიცხი იყო და სამართლიანად მე, მის შვილს, და მის ცოლს აიკიბას საკმაო საზრდო უნდა გვექნეს, სანამ სოფელში ხორცი არის. ეს ვთქვი მე, ბოკის შვილმა კიშმა!

ის დაჯდა და ისმენდა აღშფოთებისა და პროტესტის სიტყვებს, რომელნიც იმისმა თქმამ გამოიწვია.

— საბჭოზე ლაპარაკი რომ ბიჭუკას გაებედოს! ლუღლუღებდა მოხუცი უგ-გლუკი.

— ნუთუ ჩვენ, მამაკაცებს, ძუძუმწოვარა ბალღები დაგვიწყებენ სწავლებას?! — ხმამაღლა კითხულობდა მასუკი.

მოზრდილთა მრისხანებამ უკიდურესობას მიაღწია. ისინი უბრძანებდენ კიშს დასაძინებლად წასვლას, ემუქრებოდენ, რომ ის ხორცს სულ არ მიიღებდა და პირდებოდენ, რომ თავგასულობისათვის კიდეც სცემდენ.

კიშს თვალები აუელვარდა, სახეს სისხლი მოაწყდა და ის ფეხზე წამოიჭრა.

— თქვენ ყველამ მე მომისმინეთ! — დაიყვირა მან. — საბჭოზე მე მეტს არასდროს არ ვილაპარაკებ მანამ, სანამ თვით ხალხი ჩემთან არ მოვა და არ მეტყვის: „კიშ, კარგი იქნება, თუ შენ სიტყვას იტყვი. თქვი, რადგან ჩვენ ეს გვსურს“. ახლა კი ჩემი უკანასკნელი სიტყვა მოისმინეთ. ჩემი მამა ბოკი დიდი მონადირე იყო, მე, მისი შვილი, აგრეთვე წავალ სანადიროდ, რომ ხორცი ვიშოვო. თქვენ ყველამ იცოდეთ, რომ ჩემი მონაპოვარი სამართლიანად იქნება განაწილებული. არც ერთ ქვრივს, არც ერთ უძლურს ან ავადმყოფს შიმშილისაგან ტირილი არ მოუხდება იმ დროს, როდესაც ღონიერი მამაკაცები ზომაზე მეტად მიღებული საჭმლის გამო მუცლის ტკივილისაგან იკვნესებენ. დადგება დღე, როდესაც თავს ლაფი დაესხმის იმ ძლიერთ, ვინც ზომაზე მეტსა ჭამს. მე, კიშმა, ესა ვთქვი!

ქოხიდან გასვლის დროს მას საზიზღარი დამცინავი ყვირილი გაადევნეს, მაგრამ მან მაგრად დააჭირა კბილები კბილებს და თავისი გზით გაეშურა: არც მარჯვნივ და არც მარცხნივ არ იცქირებოდა.

მეორე დღეს კიში ნაპირით გაემართა იქით, სადაც ყინული დედამიწას უერთდება. მნახველებმა შენიშნეს, რომ კიშს მიჰქონდა თავისი მშვილდი გამახვილებული ძვლების ისართა დიდი მარაგით და მხრებზე მამის სანადირო დიდი მახვილი ჰქონდა.

ამან მრავალი დაცინვა და მითქმა-მოთქმა გამოიწვია, რადგან მსგავსი რამ არასოდეს მომხდარა. ამ ასაკის ბიჭები სანადიროდ არასოდეს წასულან. ესკიმოსები სხვადასხვა წინასწარმეტყველებით თავს იქნევდენ; ქალები სიბრალულით შესცქეროდენ კიშის დედას – აიკიბას, რომლის სახე სერიოზული და სევდიანი იყო.

— ის მალე დაბრუნდება, — ეუბნებოდენ ქალები ნუგეშის მიზნით.

— დე, წავიდეს სანადიროდ: ეს საუკეთესო გაკვეთილი იქნება იმისათვის,—ამბობდენ მონადირენი.—ის მალე დაბრუნდება და მშვიდი შეიქნება, მისი სიტყვა სიცოცხლის დასასრულამდე თავაზიანი იქნება.

ᲙᲘᲨᲘᲡ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝᲒᲐ

ორმა დღემ განვლო. მესამეს საშინელი ქარიშხალი ატყდა. კიში არ გრუნდებოდა. აიკიბ თმებს იგლეჯდა და გლოვის ნიშნად სახე სელაპიტ ცხიმის მურით შეითხუპნა. ქალები მწარედ უსაყვედურებდენ მამაკაცებს, რომ აწყენინეს ბავშვს და იმისი სიკვდილის მიზეზი იყვნენ. მამაკაცები დუმილით უსმენდენ და ქარიშხლის ჩადგომისთანავე ემზადებოდენ კიშის სხეულის საპოვნელად წასვლას.

მეორე დღეს დილით ადრე, კიში, თითქოს არა მომხდარიყოს რა, სოფელში დაბრუნდა. ზურგზე ეკიდა მძიმე ტვირთი,—დათვის ახალი ხორცის ნაჭერი. მის მიხვრა-მოხვრაში ამპარტავნობა გამოსჭვიოდა, სიტყვა ამაყი იყო.

— წაიყვანეთ ძაღლები და მარხილები, ჩემ კვალს მიჰყევით,—თქვა მან.—იქ, ყინულზე, ბევრი ხორცია—ძუ დათვი და დათვის ორი დიდი ბელი.

აიკიბა სიხარულით ცას ეწეოდა, მაგრამ კიშმა, როგორც მოზრდილმა ადამიანმა, მხოლოდ ეს თქვა:

— აიკიბა, წავიდეთ, ვჭამოთ. შემდეგ მე დასაძინებლად დავწვები, რადგან ძლიერ დავიქანცე.

ის ქოხში შევიდა, ჭამა და შემდეგ ოცდაოთხი საათი განუწყვეტლივ იძინა.

კიშის სიტყვებმა დასაწყისში მხოლოდ ეჭვი აღძრა. პოლარულ დათვზე ნადირობა მეტად სახიფათოა, მით უფრო სახიფათოა ბელებიან ძუ დათვზე ნადირობა. ხალხს არაფრისათვის არ უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ ბიჭუნა კიშმა მარტოდ, ყოველგვარი დახმარების გარეშე, მოახდინა ასეთი სასწაული.

დასასრულ მონადირენი საყვედურით გაემგზავრნენ: მან, ალბათ, არ გამოფატრა მოკლული დათვებიო. შორეულ ჩრდილოეთში ეს ცხოველის მოკვლის წუთსვე ხდება, რადგან ხორცი იყინება და უმახვილეს დანასაც არ ემორჩილება მარხილზე მისი დაწყობა და დათვის გაყინული ხორცის, ას ორმოცდაათი კილო ხორცის თრევა მეტად ძნელი საქმეა.

მონადირეებმა ადგილზე მისვლისას ნახეს მოკლული დათვი და დარწმუნდენ, რომ კიშს, როგორც დახელოვნებულ მონადირეს, ამოეცალა შიგნეული.

იმ დღიდან კიშის საიდუმლობაზე ალაპარაკდა ყველა. დღითიდღე უფრო და უფრო გაუგებარი ხდებოდა ეს საიდუმლოება.

მეორედ მან მოკლა ახალგაზრდა ბრგე დათვი, მესამედ—ბებერი დიდი ხვადი და ძუ დათვი. ის ჩვეულებრივ სამი-ოთხი დღით მიდიოდა; მაგრამ ხანდახან მთელი კვირის განმავლობაში დაეხეტებოდა ყინულიან ველზე. ის ყოველთვის უარს ამბობდა ვინმეს წაყვანაზე, რაც უფრო მეტად აოცებდა ხალხს.

— როგორ აკეთებს ამას?—ეკითხებოდენ ისინი ერთმანეთს,—მას თან ძაღლიც არ მიჰყავს არასოდეს, რომელსაც დიდად შეუძლია დახმარება.

სოფელში ჯადოსნობის შესახებ დაიწყეს ლაპარაკი.

—ის ბოროტ სულთა დახმარებით ნადირობს,—ამტკიცებდა მრავალი,—ამიტომაც ნადირობაში ყოველთვის გამარჯვებულია.

— შესაძლოა, ბოროტის მაგიერ, კეთილი სულები იყოს?—ამბობდენ სხვები—ვინ იცის?

კიში ყოველთვის გამარჯვებული იყო ნადირობაში, და ნაკლებ დახელოვნებული მონადირეები იმასლა აკეთებდენ, რომ სოფელში მის ნანადირევს ეზიდებოდენ. ყოველთვის სამართლიანი იყო განაწილება. კიში, მამის მსგავსად, ყოველთვის თვალყურს ადევნებდა, რომ საკოდავ მოხუცებულ ქალსა და უძლურ მოხუცებულ კაცს ყველას თანაბრად მიეღო თავისი წვლილი; თავად მხოლოდ იმდენს იტოვებდა, რამდენიც შიმშილს მოუკლავდა. ასეთი შესანიშნავი ნადირობისათვის ხალხი მას პატივით ეპყრობოდა, ლაპარაკობდენ კიდეც, რომ მოხუც კლოშ-ქვანის შემდეგ თავიანთ ბელადად ის აერჩიათ. იგონებდენ რა ყოველივე მის მიერ ჩადენილს, ელოდენ საბჭოზე კვლავ მის გამოცხადებას; მაგრამ ის არ მიდიოდა, კიშის მოწვევა კი მათ უკვე რცხვენოდათ.

ერთხელ მან კლოშ-ქვანსა და რამდენიმე მონადირეს უთხრა:—მე ქოხის აშენება გადავწყვიტე ჩემთვის, ის დიდი და ფართე უნდა იყოს, რომ მე და დედაჩემმა აიკიბამ მასში მოხერხებულად ვიცხოვროთ.

— ჰო,—თავდახრით, სიდინჯით დაემოწმნენ ესკიმოსები.

— მაგრამ დრო არ მაქვს. ჩემი საქმე ნადირობაა და მთელ დროს ის მართმევს. სამართლიანი იქნება, თუ მამაკაცები და ქალები, რომელნიც ჩემი ნანადირევით საზრდოებენ, ჩემთვის ქოხს ააშენებენ.

ქოხი ისეთი ფართო აშენდა, რომ კლოშ-ქვანის საცხოვრებელსაც აღემატებოდა.

კიში და დედამისი იქ გადავიდენ, და აიკიბამ ქმრის სიკვდილის შემდეგ პირველად დაიწყო კმაყოფილებითა და პატივით ცხოვრება.

ესკიმოსები კიშის საიდუმლო ნადირობით ძლიერ დაინტერესებულნი იყვნენ; უგ-გლუკმა ერთხელ საჯაროდ აშკარად დასდო მას ბრალი ჯადოსნობაში.

— შენ ბრალსა გდებენ,—გაბოროტებული ხმით დაიწყო უგ-გლუკმა,—რომ ბოროტ სულებთან გაქვს კავშირი და ამიტომაც შენი ნადირობა გამარჯვებით ბოლოვდება.

— განა ცუდი ხორცი არის?—უპასუხა კიშმა,—ჩვენს სოფელში ვინმე შეიქნა ავად, რომ ის შეჭამა? საიდან იცი, რომ ეს ჯადოსნობაა? თუ შენ ასე მხოლოდ მისთვის ფიქრობ, რომ შური გღრღნის?

უგ-გლუკი შერცხვენილი გაჩუმდა; და, როდესაც ის წავიდა, ქალებმა მას დაცინვა დაუწყეს.

მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ, ხანგრძლივი მსჯელობის შედეგად, საბჭოზე გადაწყდა—კიშისათვის, როდესაც ის სანადიროდ გაემართებოდა, კვალდაკვალ ჯაშუში დაედევნებიათ და ამრიგად გაეგოთ იმისი ნადირობის ხერხები.

ჯეკ ლონდონი.

თარგმანი თ. ს—ისა.

ოქროს თევზი და მეგადური

ეროვნული ბიბლიოთეკა

განვლო ერთმა თუ ორმა კვირამა,
დედაბერი კვლავ გადაირია,
უთხრა ქმარს: „წადი, თევზს მოახსენე:
აზნაურობა აღარ მჭირია,
ეხლა მსურს ვიყო მე დედოფალი,
ყოვლად შემძლე და თავისუფალი“.
მოხუცს ეოცა, შიშით შესძახა:
„შენ საქმე ხომ არ გამოგლევია?!
რაებსა ჩმახავ აქ, დედაკაცო,
ლენცოფა ხომ არ დაგილევია?!
სიტყვა-პასუხი შენ არ გივარგა,
ან სიარული რაღას მიგიგავს,
მთელ სახელმწიფოს გაეცინება,
სამასხარაოდ რაზე იხდი თავს?“
გაბრაზდა და ქმარს სილა შემოჰკრა,
უთხრა: რა სთქვი ეგ, რა იყბედეო,
ვიღაც გლეხუჭამ ტახტის აზნაურს
უარი როგორ გამიბედეო!
„წა, თორემ ძალით წაგათრევინებ
და რაც მსურს იმას იქ გათქმევინებ!“
მოხუცი ისევ ზღვისკენ წავიდა,
შავი და ბნელი იყო ლურჯი ზღვა...
მოიხმო თევზი, და თევზმა ჰკითხა:
„რაო, მოხუცო, აწ რა შეგემთხვა?“
მან თაყვანი სცა, უთხრა: დედაბერს
აღარ უძღება ხარბი თვალიო,
არ მოსწონს ტახტის აზნაურობა,
სურს იყოს ქვეყნის დედოფალიო.
თევზმა თქვა: „გული ნუ გიწუხდება,
წადი, ეგ თხოვნაც აგისრულდება“.
დაბრუნდა სახლში და რა იხილა:
სასახლის დროშა ღრუბლებს სწვდებოდა,
დარბაზში იყო დიდებულთ კრება
და დედაბერიც იქ ბრძანდებოდა.
მრავლად ეხვია გარს დიდებული,
აზნაური და წარჩინებული.
თაყვანსა სცემდენ, ხოტბას ასხამდენ
სურდათ რითიმე მოეგოთ გული.
დედოფალს ზურგთან უდგას დარაჯი
დიდად მრისხანე და საზარელი,
ზოგს ეპყრა ხელთა ხმალი შიშველი,
ზოგს-კი ცული და ნაჯახი მჭრელი.
შეკრთა მოხუცი, მიდგა იმ ადგილს,
სად დედოფალი ნებივრად იჯდა.
თაყვანი სცა და ალერსით უთხრა:
„ეხლა-კი გული ხომ დაგიდინჯდა?“
არც კი შეხედა, ისე უბრძანა
მხლებლებს მოხუცის გარეთ გაყვანა.
წამსვე მისცვივდა დიდებულთ გროვა,
კისერში სცემდა, იგინებოდა.
კარებთან შეხვდა მკაცრი დარაჯი,
ცულით აკუწვას ემუქრებოდა.

ხალხიც მას გმობდა და იცინოდა,
იგი არავის ებრალებოდა.
ორი თუ სამი კვირა გავიდა,
დედაბრის ჟინი წრეს გადავიდა,
გაგზავნა ყველგან კარისკაცები,
თავისი ქმარი მოაძებნინა.
წავიდენ, ძებნეს, ჰპოვეს, მოჰგვარეს
და დაუყენეს მკრთალი თვალწინა.
უბრძანა: „წადი, თევზს მოახსენე,
რომ დედოფლობა მე მომეწყინა,
ეხლა მსურს ვიყო ზღვისა მფლობელი!
დიდ ოკეანეს შუა ადგილას
მქონდეს მე ბინა და სამყოფელი!
თვით ოქროს თევზი მე მსახურებდეს,
ჩემ ფეხთან იყოს და თაყვანს მცემდეს!“
მოხუცი დუმდა, სული გატრუნა,
შიშით სიტყვაც-კი ვერ შეუბრუნა,
წავიდა ზღვისკენ... ამ დროს ლურჯი ზღვა
დიდად შფოთავდა, ყალყზე დგებოდა,
კვნესდა, ღმუოდა და ზვირთი ზვირთსა
ზედ ასკდებოდა, ეხეთქებოდა...
მივიდა ზღვასთან და ზღვის ფრთონაში
თევზს თავისი ხმა ძლივს გააგონა;
მოცურა ოქროს თევზმა და ჰკითხა:
„რაო, მოხუცო, რამ დაგაღონა?“
მან უპასუხა: „დიდო ხელმწიფევ,
შენ-ღა ხარ მხოლოდ ჩემი იმედი,
შენ დამიხსენი და დამიფარე,
წყეულ დედაკაცს ვერ აუვედი,
აწ აღარა სურს დედოფლად ყოფნა,
უნდა, რომ იყოს ზღვისა მფლობელი,
დიდ ოკეანეს შუა ადგილას
ჰქონდეს მას ბინა და სამყოფელი
და თვით შენც იმას იქ მსახურებდე,
მის ფეხთან იყო და თაყვანს სცემდე“.
თევზმა მებადურს ხმა აღარ გასცა,
არც-კი შეხედა, არც-კი უყურა,
მან ბოლო მძლავრად გადააქნია
და ზღვის სიღრმეში უცებ ჩაცურა.
დიდხანს ელოდა მოხუცი პასუხს,
ვერას ეღირსა, დაბრუნდა შინა...
ამას რას ხედავს: იგივ მიწური,
ისევე ძველი, ჩვეული ბინა...
ქოხის კარებთან ზის დედაბერი
და წინდასა ქსოვს თავჩაქინდრული,
დედაბრის ახლოს კედელთან გდია
ვარცლი დამსკდარი და დაბზარული.

ა. პუშკინი.

თავისუფალი თარგმანი. ა. ახნაზაროვისა.

მოწაფეობას

მინდვრის ყვავილებს გადარეთ,
ყვავილნო ფეხადგმულებო;
ხან კლასში გხედავთ, ხან გარეთ,
ლექსებით ფრთაასხმულებო.

მახარებთ! იმ დროს მაგონებთ,
მეც რომ ვიყავი პატარა;
მხოლოდ ერთი რამ მაღონებს:
სკოლაში არვინ მატარა!

ახლა ყველასთვის ღიაა
საბჭოთა სკოლის კარები,
და მეც რომ რომ ბალღად მაქცია,
მოწაფედ ზივებარები!

ბეჯითად, ჩემო კარგებო!
წინ, ცოდნა - გამოცდილებით,
რომ გახდეთ ქვეყნის მარგები
სასიქადულო შვილები!

გ. ძუჩიშვილი.

ჯულბარსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შარშან, შემოდგომაზე, მე მივლინებული ვიყავი ტაჯიკისტანში.

ერთხელ ვზივარ სასადილოში, სადილის მოლოდინში. უცებ შემოვიდენ სამხედრო პირები ახალგაზრდა მეთაურები. ხმამაღლა ლაპარაკობენ, იცინიან.

ერთი მოვიდა ჩემთან და მომესალმა.

თურმე, ლენინგრადელი ნაცნობი ყოფილა, გამაცნო ამხანაგები, უამბო მათ—მე და მან როგორ ჩავბარეთ გამოცდა ვოროშილოვის მსროლელობაზე.

ერთად ვისადილეთ და სადილობისას გავიგე, რომ ისინი ნასადილევს მიდიოდენ ჯულბარსის მოსაკლავად, რომელსაც ბევრი საქონელი გაეფუჭებია ახლომახლო ყიშლაღებში[1]). მეთაურებმა მითხრეს: იქ თხრილებია გაკეთებული, სწორედ იმდენი, რამდენიც მსროლელია, მაგრამ ერთი თხრილი თავისუფალია, ვინაიდან ერთი მეთაური ავად გახდა და ვერ მოდისო. დამიწყეს პატიჟი: ჩვენთან წამოდი, ცხენსაც გიშოვით და შაშხანასაც.

მე ვიფიქრე—ჯულბარსი, ალბათ, ფოცხვერის მსგავსი რაღაც ცხოველია მეთქი, და დავეთანხმე. წავედით. ორიოდე კილომეტრი გავიარეთ და ველზე შევჩერდით.

მიმიყვანეს პატარა სანგართან, მომცეს შაშხანა, თვითონ კი წავიდენ თავის სანგრებში ჩასაჯდომად. წითელარმიელებმა საასწრაფოდ გააბრუნეს ჩვენი ცხენები!

მე მითხრეს—მხეცი ერთი საათის შემდეგ გამოჩნდებაო. მაშასადამე, ჯერ ბევრი დრო მაქვს.

სანგარი ორმოს წარმოადგენდა, რომელშიაც მკერდამდის ვიყავი ჩამალული. ვინაიდან თავი და ბეჭები ორმოს ზევით იყო, სროლა არ გამიძნელდებოდა. კუთხეში იყო ვიწრო ხვრელი, რომელშიც შეიძლებოდა თავიან-ფეხებიანა შეძრომა.

მე გავიფიქრე: „არა, როგორც ეტყობა, ეს რაღაცა ჯულბარსია არც ისე უბრალო მხეცია და, ვინ იცის, იქნებ ამ ხვრელში დამალვაც გახდეს საჭირო. აბა რა მრჯიდა, რას მოვდიოდი აქ? ვიქნებოდი ახლა ჩემთვის მოსვენებული და კოლოების გარდა არცერთი ცხოველის შიში არ მექნებოდა“.

მართალი გითხრათ, ათასნაირი აზრი დამიტრიალდა თავში: „ეს ჯულბარსია თუ რაღაც ეშმაკი, ლომი კი არ არის, მაგრამ თხას ჭამს, გარეულ ტახს ერევა, ტახს კი ისეთი ეშვები აქვს, რომ თუ კაცს გაჭრა ფეხზე,—მშვიდობით, ფეხო“.

გულდასმით დავათვალიერე შაშხანა, ყველაფერი რიგზეა..

ირგვლივ მიმოვიხედე: ვაკე, სტეპი. დაბალი ბალახი, ორას ნაბიჯზე არის ტუგაი—ეს არის დაბალი, ხშირი, გაუვალი ჩირგვნარი, ჯუნგლი. ჩემგან მარჯვნივ და მარცხნივ მეზობელი მსროლელების თავები მოჩანს ორმოებიდან, თოფის ლულა ელვარებს მზეზე, მაგრამ ისინი იმდენად შორს არიან, რომ, თუ მხეცი მეცა,—შველას ვერ მოახერხებენ.

დრო გადიოდა.

ერთი საათის შემდეგ გავიგონე სროლის ხმა. ეს პირობითი ნიშანი იყო. მაშასადამე, სარეკი დაიწყო.

და კვლავ სრული სიჩუმე. მხოლოდ რომელიღაც ოხერი ონავარი ფრინველი გაკივის მაღლა, ცაში, დაფარფატებს, და ჩემ საათს გაქვს წიკწიკი ჯიბეში.

მზად მაქვს შაშხანა. გულდასმით მივჩერებივარ ტუგაის და მგონია—აი ახლა გამოჩნდება მხეცის თავი მეთქი.

ასჯერ მაინც გავიფიქრე, თუ როგორ გამოხტებოდა ეს „ბარსი“ ტუგაიდან—ნაცრისფერი, შავი ზოლებით, მწევრის ოდენა, გრძელკუდა. გაბრაზებული მიიქნ-მოიქნევს კუდს, მერე კატასავით ჩაცუცქდება და წინ გავარდება.

სწორედ გადახტომის წინ ვესვრი, თავში ვესვრი. არა, უმჯობესია მარცხენა ფერდში ვესროლო, შიგ გულში, თორემ თავის ქალამ შეიძლება აიცუროს ტყვია.

1) ყიშლაღი—სოფელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოლოდინით დაძაბული ვფიქრობდი და დრო სულ გადამავიწყდა.

მერე დაღლილობა ვიგრძენი, მომბეზრდა გაფაციცებით ყურისგდება და თვალიერება, თანაც მეშინია თვალი მოვაშორო ტუგაის: ერთიც ვნახოთ და გამოხტა, მერე?

ამოვიღე საათი და დავხედე. საათნახევარი გასულა სროლის შემდეგ. გულზე მომეშვა: „ახლა მხეცი კი არა, სარეკში მყოფი წითელარმიელები გამოჩნდებიან ტუგაიდან, უკვე დროა...

და უკვე მხიარული თვალებით ვუმზერდი ტუგაის: მხეცის აღარ მეშინოდა.

ის კი მოცოცავს... ტუგაიდან ჩემამდის თითქმის ნახევარი მანძილი გამოუვლია. როგორ ვერ შევნიშნე აქამდის, როგორ?

და განა ის მხეცია, რომლის მოლოდინშიც ვიყავი? არა, ეს „ბარსი“ არ არის.

ნარინჯისფერი, შავი ზოლებით და გრძელი, გრძელი—ტროპიკული მახრჩობელა გველის სიგრძე...

გამოგიტყდებით, გული გადამიქანდა და მე თითქოს სადღაც ხრამში გადავიჩეხე.

ის კი მოცოცავდა... მუცლით მიწას გაჰკროდა, ფეხები არ უჩანდა და მხოლოდ ფართო ბეჭები მოძრაობდა ზურგს ზევით, თავი კი ხარის თავის ოდენა ჰქონდა.

და სწორედ ჩემსკენ მოცოცავდა, გველივით სწრაფად მოსრიალებდა.

გონს მოვედი, შაშხანას ვსტაცე ხელი. როგორც კი ხელში ვიგრძენი თოფი, უცებ დავწყნარდი.

იდაყვებით დავეყრდნე მიწას, მარცხენა ფერდში დავუმიზნე. მას თავი ჩემკენ ჰქონდა, ასე რომ მისი ყბის გვერდით ვუმიზნე ბეჭს.

საჩვენებელი თითი გამოვკარი ჩახმახს—ჯერ კიდევ არ მიმწყდარიყო სროლის ხმა, რომ მეორე ტყვიაც მზად მქონდა ლულაში.

მე ველოდი—მხეცი საშინლად დაიღმუვლებს, შეხტება, მერე მიწაზე გაგორდება და აფართხალდება მეთქი... ერთი სიტყვით, ყველაფერს ველოდი, მაგრამ ის კი არ მეგონა, თუ არაფერიც არ მოხდებოდა.

თვალს ვერ ვუჯერი: მხეცი არც შემკრთალა, მოცოცავს ისევ, როგორც წელან მოცოცავდა, ისევ უხმოდ, ისევ სწრაფად, ისევ ჩემკენ.

მე ვორორშილოვის მსროლელი ვარ, თითქმის სნაიპერი, 100 მეტრის მანძილზე ხუთ ტყვიას ზედიზედ ჩავსვამ ხოლმე მიზნის შავ წერტილში, და როგორ ავაცდინე?

ერთი წამიც კი არ მქონდა მოსაფიქრებელი. ჩემი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა, ის დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რამდენად კარგად ამოვიღებდი მიზანში, რამდენად კარგად მოხვდებოდა ტყვია... მე დიდიხანია მივხვდი, რა მხეცთანაც მქონდა საქმე—ეს ვეფხვი იყო.

ვეფხვი მე ყოველთვის უფრო საშინელი მეგონა, ვიდრე ლომი, ვიცოდი, რომ ერთი ნახტომით შეეძლო ხუთმეტ მეტრზე გადაეტანა თავისი მრავალფუთიანი ტანი, მაგრამ მხოლოდ ახლა მივხვდი, თუ ნამდვილად რას წარმოადგენთ და ის.

ახლა თავში ვუმიზნე. ვიფიქრე: თუ ტყვიას აისხლეტს, მეორედ და მესამედაც მოვასწრებ სროლას მეთქი.

ხელი არ გამნძრევია. სროლის შემდეგ თვალის დახამხამებაში ხელახლა გავტენე თოფი.

იგივე სურათი: მხეცი უხმოდ მოცურავს სულ უფრო და უფრო მეტი სისწრაფით, მოცურავს ჩემკენ. ახლა სამოცდახუთმეტი მეტრიც არ იქნებოდა ჩვენ შორის, და მე უკვე ვხედავდი მის თეთრ ულვაშებს.

რა არის ეს—მირაჟია? თვალი მატყუებს?

მესამედ რომ ვესროლე, ვეფხვი ორმოცდაათ მეტრზე იყო. მე ვხედავდი მის მოელვარე თვალებს. ჩემი სროლის შემდეგ მას თვალიც არ დაუხამხამებია.

საშინელმა აზრმა გამიელვა „მეხუმრენ... უტყვიო ვაზნებს ვისვრი“...

საშინელ მდგომარეობაში ვიყავი. ორი სროლა დამრჩა, ისიც უტყვიო... ხელახლა თოფის გატენას ვერ მოვასწრებ...

მეოთხედ ვესროლე, როდესაც მხეცი ჩემგან ოცდახუთმეტ მეტრზე თუ იქნებოდა.

ვეფხვს კრინტიც არ დაუძრავს. მხოლოდ კუდი გაიქნ-გამოიქნია, როგორც კატამ, რომელიც ბეღურას ეპარება.

მხეცი გადმოხტომას ეპირებოდა.

არ მახსოვს, როგორ და სად ვესროლე მეხუთე ტყვია.

გასროლის მომენტში უხმად, მსუბუქად მოსწყდა მიწას უზარმაზარი წითური სხეული და ჩემკენ გადმოფრინდა, მე ხელიდან გავაგდე შაშხანა და თხრილის ხვრელში ჩავძვერი ფეხებით.

იმავე წუთს თავს დამეცა საშინელი მხეცის დაღებული ხახა. სახეში მომხვდა მისი ცხელი მყრალი ამონასუნთქი. სისხლივით წითელი ენა და უზარმაზარი თეთრი კბილები სწორედ ჩემ თვალებთან იყო. შემაძრწუნებელმა ღმუილმა გამაყრუა... მგონი, მხეცზე უმწარესად შევკივლე და გული შემიღონდა...

—

საწოლში მოვედი გონს. თავზე მადგა თეთრხალათიანი ექიმი. ოთახი სავსე იყო ახალგაზრდა ქალებით. ყველას შეშინებული სახე ჰქონდა.

— როგორ ხართ?—შემეკითხა ექიმი. უცებ გამახსენდა ყველაფერი.

— ვეფხვი?—ვიკითხე მე.

ყველამ ზედიზედ მომაყვირა:

— ვეფხვი მოკვდა!

— თავზე დაგაკვდათ!

— უზარმაზარი ვეფხვია!

— შესანიშნავად გისროლიათ!

— ხუთივე ტყვია მოხვედრია.

— ორი მოხვედრია მარცხენა ყბაში.

— ორიც მარცხენა ფილტვში.

— ერთი კი მარცხენა ბეჭში.

— სულ ცოტა რომ ქვევით ყოფილიყო,— ჩაურთო ჩემმა ნაცნობმა,— შიგ გულში გაუვლიდა. ყველა ტყვია გასულა მეორე მხარეს, არცერთი არ გაჩხირულა ტანში.

მე ისე ვიყავი დასუსტებული, რომ კვლავ შემოღონდა გული.

მოკლული ვეფხვის ტყავი, ტაჯიკისტანურად კი ჯულბარსის, მხოლოდ ორი თვის შემდეგ ვნახე ლენინგრადში. მეთაურებს გაეკეთებინათ იმისაგან ხალიჩა. შესანიშნავი ხალიჩა გამოსულა, ჩემი ოთახის იატაკს ფარავს, მაგრამ პირველად რომ ვნახე, მაშინაც გული წამივიდა: ნათლად წარმოვიდგინე, როგორ მოცოცავდა ეს უზარმაზარი მხეცი ჩემკენ ისე უხმო და ტყვიისადმი გულგრილი, როგორც ეს ხალიჩა.

ვ. ბიანკი.

თარგმანი **ნ. ქოჩიაშვილისა.**

საიდუმლო ნიშნები

ათი წლის ტოკიელი ბიჭი, სახელად შპინოკი, სკოლიდან დაბრუნებული, თავის ეზოში გადაბრუნებულ კასრში შეძვრა. კასრში მისი მშობლები დილდილობით ბანაობდენ.

— კარგი იქნებოდა ადმირალობა და მეზღვაურობა მეთამაშა. გადაბრუნებული კასრი უწყლოდ ნამდვილი წყალქვეშა ნავია,— იფიქრა კმაყოფილმა ბიჭმა.

კასრი დაამხო და მასზე ისე შედგა, როგორც საადმირალო ხიდზე, სამი დიდი ნაბიჯი გადადგა, ხელები ტუჩებთან საყვირივით დაიწყო და პიროპითი „დო-დო-უა“ დაიგუგუნა, რაც ნიშნავდა ამ ეზოში: „მე დავბრუნდი სკოლიდან, მოდით, ჩემთან ითამაშეთ!“



ბავშვები მახლობელ მინდორზე ბეზ-ბელს თამაშობდენ და ნიშანი არ გაუგონიათ.

— უნდა რაზმი ავამუშაო,— წაიბუტბუტა გაჯავრებით ბიჭმა და მოწყენით პირში თითი ჩაიდო.

ამის შემდეგ გაკვეთილი გაიმეორა.

— ცურეში ზამთრის ღამე იყო,
ცივი ქარი ზღვიდან ქროდა,
ვლადივოსტოკთან კრეისერი მოცურავდა,
ზარბაზნის ტუჩიც ბრწყინავდა.

ეს ლექსი გრძნობითა და ხელისქნევით თქვა, ისე, როგორც მასწავლებელმა ასწავლა. არც ამან გაართო მოწყენილი ბიჭი. ჯიბიდან დანა ამოიღო და წყლით გაჟღენთილ კასრს ატაკა. საბანაო კასრის კიდეზე ამოჭრა სულ უმნიშვნელო რაღაც ფიგურები, რომელიც ჰგავდა საკითხავ წიგნში მოთავსებულ იეროგლიფებს. ორი გაკეთებული ნაჭდევი სწორი ხაზით შეაერთა და გარშემო გამოურკვეველი რაღაც შემოავლო, რაც წვრილი გრეხილი ხაზებისაგან შედგებოდა და სულ ცოტათი რუკას წაგავდა, უფრო კი ხის ჭიის კვალს.

შუადღისას ბაზრიდან დედა შინ დაბრუნდა.

ოჯახი, რომელშიაც ბიჭი ცხოვრობდა, ერთი მემილიონედი ნაწილი იყო თანამედროვე ტოკიოსი. ეს ოჯახი მრავალი წელი იწევდა სოფლიდან დედაქალაქისაკენ. მან გზაში დაკარგა ბებიები, დეიდები, ძმები და ორი წლის წინათ მოაღწია დედაქალაქის გარეუბანს.

უამხანაგოდ შპინოკს მოეწყინა, კასრი რომ დახაზა მერე ისევ ქუჩაში გავარდა. დედამ შინ ვერ მოუსწრო. საქმეებში გაერთო. მან მსახურს უბრძანა წყალი მოემზადებია საღამოს აბაზანე-

ბისათვის, ბატონ მიტკეოსათვის, რომელიც ქალაქის უნივერსალურ მაღაზიაში მსახურობდა.

მსახური ლრუბლით ხელში დაიხარა, რომ კასრი გაეხეხა. უცებ მან უცნაური, დანით ამოჭრილი ნიშნები დაინახა და შეშინებულმა დაიყვირა:

— ქალბატონო, ბოდიში, მაგრამ ეს რა არის?

უკმაყოფილო დიასახლისი მიუახლოვდა და თქვა:

— ეს რა არის? რა არის და კასრია!

— მეშინია, ქალბატონო! როდესაც მივდიოდი, არაფერი ამის მსგავსი არა იყო რა ძირზე.

ბატონი მიტკეო მზის ჩასვლისას დაბრუნდა მაღაზიიდან, მისვლისთანავე გაიხადა მაღაზიაში მიცემული პიჯაკი, ყელსახვევი და ფეხსაცმელები. ყველა ამას ფირმა აძლევდა ერთი კვირით. შემდეგ ჩითის კიმანო ჩაიცვა და მაშინვე ოჯახის დინჯი მბრძანებელი გახდა.

სადილობის დროს, როდესაც მეუღლე ფინჯანს აწვდიდა, სხვათაშორის ფუთხრა, რომ მათ ეზოში უცნაური საიდუმლო წერითი ნიშნები გამოჩნდა. მიტკეო დაინტერესდა და გასინჯვა გადაწყვიტა.

მან დიდი ყურადღებით დაათვალიერა ნაჭდევი.

იქნებ ეს არის ნიშანი ყვითელი მოხეტიალე სექტორისა? აქ სადღაც მათი აგიტატორი დაეთრეოდა, მათ უყვართ საიდუმლო წერა. იქნებ ეს რეკლამაა? მაგრამ ეს რეკლამას არ ჰგავს.

— აა! ეს, ალბათ, მოსამსახურემ გააკეთა!

— მეუღლევ!— დაუყვირა ოჯახის უფროსმა, — რასა კეთებდა ჩვენი მსახური ჩემს არყოფნაში?

— ის ჩემთან იყო ბაზარში და ერთი წუთითაც კი არ მომშორებია.

— რას აკეთებდა ჩემი ვაჟი?

— ის სკოლიდან დაღლილი დაბრუნდა, მათ ხომ აუარებელ გაკვეთილს აძლევენ.

მეზობელი სახლის კარებთან შპინოკი გამოჩნდა. მას სახეზე ეშმაკური გამომეტყველობა ჰქონდა. მამამ თავისთან მიიხმო და ჰკითხა: „რა არის ეს სურათი? შენ დახატე?“—უთხრა სხაპასხუპით, როგორც მაღაზიაში იყო დაჩვეული, როცა ვინმეს უვარგის საქონელს აჩეჩებდა. შპინოკმა ცოტა დაფიქრების შემდეგ თქვა:

— მე მთელი დრო მეზობელ ეზოში ვთამაშობდი ბეზ-ბელს. მე თავი ძალიან გამოვიჩინე



ამ თამაშობაში. მამა, რა სურათებია, რომელზედაც შენ მეკითხები? — და წრფელი პატიოსანი სახით შეხედა.

შპინოკს ხომ სულ ადვილად შეეძლო სიმართლე ეთქვა: „მე მოწყენილი ვიყავი, ბავშვებს ჩემთან თამაშობა არ უნდოდათ, ამ დანით ამოვჭერი ეს ასოები“. მაგრამ იმან იცრუა, იმიტომ რომ სამხედრო თამაშობა, რომელშიაც მარტო ის იღებდა მონაწილეობას, ისევ გრძელდება. ის ახლა, მისი წარმოდგენით, ტყვე იყო დაკითხვაზე. „უშიშარი ჯარისკაცების თავგადასავალის“ წიგნში მან ეს წაიკითხა:

„თუ მოწინააღმდეგე გეკითხება სულ შეუმჩნეველ უბრალო რამეზედაც კი, არასოდეს არ თქვა რაც შენ იცი, რადგან ეს მცირე რამ შეიძლება რთულად გადაიქცეს.“

შპინოკს მამამ უნდობლად შეხედა, თითი დაუქნია და სახლში დაბრუნდა, სადაც მსახური ჩაის ფოთლებს ხარშავდა.

დილით სრულიად დამშვიდებული გაემართა მაღაზიაში.

მაღაზია დღედაღამე და მუშაობს. იგი უზარმაზარი შენობაა. ხალხი ისხდა და საუბრობდა.

შპინოკის მამასაც, რომელიც ამხანაგებთან იჯდა, მოაგონდა საბანაო კასრზე საიდუმლო ნიშნები და ამხანაგებს გაუზიარა. „სასაცილო ამბავია, არა?“ დაბოლოვა მან თავისი ამბავი. მაგრამ მისი ნათქვამი არავის სასაცილოდ არ მოეჩვენა.

— საეჭვოა!

— საშიში საქმეა...

— მეშინია, რომ ეს დასაწყისია...

— საწყალი მიტკეო!

ასე, ყველა მისმა ამხანაგმა თავისი მოსაზრება წამოიძახა... ამ სიტყვებმა და ამხანაგების გამომეტყველებამ იგი ძალიან შეაშინა.

ცხრა საათზე გაათავა დილის წყებამ მუშაობა, და მიტკეო ქუჩაში გამოვიდა. შეუერთდა პროსპექტზე მოსიარულეთა ტალღას და მიყრუებული შესახვევებით ქალაქგარეთ გავიდა.

სახლში შესვლის წინ მას უცნობი კაცი შეხვდა, რომელმაც მიტკეოს სახელოში ხელი ჩაბღუჯა და ჰკითხა:

— თქვენ იქნებით ამ სახლის პატრონი, არა? — და პასუხსაც კი არ მოუცადა, ისე ჰკრა ხელი ჭიშკრისკენ.

ეზოში სიჩუმე იყო.

ოთახის კარები შესამჩნევად გაწეული იყო. კარების წინ ჭილოფზე პოლიციის მოხელე იჯდა, რომელსაც მუხლებზე ქუდი და ხელთათმანები ელაგა. ირგვლივ ყველაფერს აწიოკება ემჩნეოდა. კამოდი ამოწეწილი იყო, სასადილო მაგიდაც აყირავებული ეგდო...

ყველაზე საკვირველი ის იყო, რომ არცერთი შინაური არ ჩანდა.

— ჩემი ოჯახი სად არის? — ენის ბორძიკით იკითხა მიტკეომ.

— ჩქარა ნახავთ მათ! — გამოურკვეველი პასუხი მისცა მოქალაქემ, რომელიც ეზოს კარების წინ შეხვდა.

კასრთან ორი კაცი ჩაცუცქულიყო და საიდუმლო ნიშნებს ათვალიერებდენ. ხელში მათ გადაშლილი სახატავი რვეული ჰქონდათ: ესენი იყვნენ პოლიციელები — ტექსტოლოგები, რომლებმაც დაუწერელის წაკითხვაც კი იციან. ერთ მათგანს მოკლე შავი წვერი და სათვალეები ჰქონდა. ის უკარნახებდა თავის მოსაზრებას მეორეს: „დანით ამოჭრილი ნახაზი სიგანით რვა დუიმია; ნაჭდევი მეტად საკვირველია. ეს ნიშნები შეიძლება ოთხ ჯგუფად გაიყოს, რომელსაც მთელი რიგი ფარული შრიფტი ეკუთვნის“...

მიტკეო კარიბჭესთან იდგა და შიშისგან გაგანიერებული თვალებით აქეთ-იქით იცქირებოდა.

— აი, სიბერის დროს სიხარული! — ფიქრობდა ის.

— ჩემი მეუღლე წაიყვანეს... წარმოდგენილი მაქვს, როგორ ფთხრიალებდა მათ ხელში.

ამდროს დამტვრეული კალათის ძირიდან გამოძვრა შპინოკი. მას ნამტირალევი სახე ჰქონდა, როდესაც მამა დაინახა, უნდოდა მისკენ გაქანებულიყო, მაგრამ შუა გზაზე შეჩერდა და ფეხქვეშ მიწას დაუწყო ცქერა.

— ჩემო ბიჭუნა! — შეჰყვირა მიტკეომ — შენ მარტო ხარ? სარდაფში რას აკეთებდი? დედაშენი სად არის?

— დედა და მსახური წაიყვანეს, — მიკნავებული ხმით თქვა შპინოკმა და შესტირა.

ამდროს პოლიციელები შევიდენ ოთახში, მათ ტექსტოლოგები მიჰყვნენ უკან.

— უკაცრავად, მე იძულებული ვარ დაგკითხოთ თქვენ! თქვენი გვარი? წლოვანება? შე ძროხავ, შენა, როგორ მიეცი ნება ბოროტმოქმედთ დაეფარათ ბოროტება?!

— მე არაფერი ვიცი! — მთელი ტანის ძაგძაგით თქვა მიტკეომ.

— თქვი, რას აკეთებდი გუშინ სალამოს კასრთან? იქნებ სულ შემთხვევით მოხვდი შენ იქ?

— მე ვიბანდი და ვფიქრობდი, თუ ვინ ამოჭრა ეს ნიშნები, რომელიც მე ვერ ამომეხსნა.

— ასე? — გაკვირვებით თქვა აგენტმა.

— მაშ შენ სრულიად არაფერი იცი?

— არაფერი, — მიმართა მან ტექსტოლოგებს, — გთხოვთ გამიზიაროთ გამოკვლევის შედეგები.

უფროსმა ტექსტოლოგმა გახსნა რვეული, ჩაახველა და აღფრთოვანებულმა დაიწყო:

— კასრზე აღმოჩენილი ნაჭდევი გვაძლევს საშუალებას რამდენიმე მსჯელობა ვიქონიოთ: პირველი და ყველაზე უტყუარი — ეს განსაკუთრებული ანბანია, რომელსაც საშიში ხალხი ხმარობს ერთიმეორის ნიშნის მიცემის დროს, როდესაც კავშირის დაჭერა უნდათ.

— რას ბრძანებთ, ბატონებო, — კანკალით თქვა მიტკეომ.

— იქნებ ეს ჩემ ნებადაურთველად არის გაკეთებული გათახსირებული ადამიანის მიერ.

— მეორე მოსაზრება ასეთია: დილით დატუსაღებული მოსამსახურის ვინაობის გამორკვევის დროს გამოირკვა, რომ ის სწორედ იმ ბრინჯის რაიონიდან არის, სადაც ხშირია აჯანყება, და როცა მოსამსახურემ იგრძნო რევოლუციური ოჯახის სულისკვეთება, გადაწყვიტა თანამოაზრეთა შორის ყოფილიყო და შეკრებები აქ მოეწყო. უნდა აღინიშნოს, რომ აჯანყების დროს არსებობს მრავალი ნიშანი. ამ შემთხვევაში ეს ნიშანი შეგვიძლია ასე ამოვიკითხოთ: „შეკრება“, ან „ბრინჯის ალი“.

ამის შემდეგ დაკითხვა შეაჩერა პოლიციელმა და მეორე აგენტს თვალი უყო. ის იმის ნიშანი იყო, რომ მიტკეო უნდა გაეთრიათ.

ღამე იყო. შორს მოჩანდა ბრჭყვიალა რეკლამები. როდესაც შპინოკმა დაინახა, რომ მამაც ისე მიჰყავთ, როგორც დედა, მას შეეშინდა და ხმამაღლა დაიყვირა:

— მე ამოვჭერი გუშინ ეს ნიშნები.

ამით მომბალმა და გახარებულმა მამამ თავი დაუკრა.

— ის ტყუის, ბატონო მოხელეო, კეთილი, მშობლების მოსიყვარულე შვილი. არ უნდა, არ უნდა, რომ მე წამიყვანოთ, — თქვა მიტკეომ როცა მას მანქანაში სვამდენ.

ჯაშუშმა მანქანის კარები მიაჯახუნა, შპინოკს მიხედა და თქვა:

— ეს ბიჭი საშიში ადამიანია. თუმცა მისი ფიქრები პატარა და განუვითარებელია, მამის ფიქრებისთანაა! ის ნაძვის ხეს ჰგავს, რომელიც მიწიდან ერთ ადლზეც არ არის გაზრდილი, მაგრამ ნაყოფი კი უკვე აქვს.

გადმოკეთებული თამარ ჩერქეზიშვილის მიერ.

ეს სტალინელი პიონერია

აი, ზეიმიც ასეთი უნდა!
ცას აპობს დიად ხმათა ბგერები!
მოდის რაზმები გუნდად და გუნდად
გუგუნით, ცეკვით და სიმღერებით...

ცა გადაშლილა ლურჯი და ლურჯი,
თვითმფრინავიდან შორს, როგორც ნისლი,
ხტება, მოცურავს მრავალი ურჩი,
თავდადებული პარაშუტისტი!

ირგვლივ წითელი დროშების ტყეა,
პალმა-ნაძვები მწვანე და მწვანე...
ყური სალხინო ბგერების ტყვეა,
თვალებს ზეიმის ფერები წვავენ.

წითელ ვარსკვლავთა ელვარე ალად
ბრიალებს ყელი და სიმღერები,
ჩვენ რუსთაველის გამზირზე მივალთ
მთელი ტფილისის პიონერები.

ქვეყნის სამშობლოს ტურფა ბავშვები,—
ეს ყველა ჩვენი პიონერია!
რა გოგონები და რა ვაჟები!
მოდის, ყიჟინით მოიმღერიან!

ირგვლივ ჩვენ თითქო სასახლეები
გვესალმებიან დროშებით კიდევ,
კვლავ ირგვლივ მწვანე-მწვანე ხეები
და გაზონების ფერადი კიდე...

ჰე, გადაშლილა ფედერაციის
ვეებერთელა მოედნის სიბრტყე,
ზღვად შეკრებილა ქალი და კაცი,
ამართულია დროშები, ვით ტყე...

და ანარეკლი, ვით ცისარტყელა,
ყველას სახეს სცემს ფერი ყირმიზი,
ვარდებს ვესროლით, შევხარით ყველა,
სადაც ტრიბუნად ავტო დგას მისი.

ჩვენი რაზმები მოიმღერიან,
მას დღეგრძელობა ვუსურვოთ მეტი,
ეს სტალინელი პიონერია,
ჩვენი ძვირფასი ძია ლავრენტი!

ნიკოლოზ ფხაკაძე.

საბავშვო მუსიკა

თამარ შავერზაშვილი.

ბავშვები კარგი მუსიკალური ნაწარმოების შექმნას ისე მოითხოვენ, როგორც კარგ საბავშვო ლიტერატურულ ნაწარმოებს.

ჩვენი კომპოზიტორები ამ მიმართულებით ნაკლებად მუშაობენ, ხოლო განსაკუთრებული ენთუზიაზმით მუშაობს თამარ შავერზაშვილი. დიდი მუშაობის გაშლაა საჭირო მუსიკოსების მხრივ, რომ ის ნაკლი ამოივსოს, რომელიც ამჟამად არსებობს საბავშვო მუსიკის დარგში.

ჩვენს საბავშვო ჟურნალებში კარგანია, ... კომპოზიტორი ქალი თამარ შავერზაშვილი თანამშრომლობს. თამარ შავერზაშვილი ჯერ კიდევ „ნაკადულში“ ბეჭდავდა თავის შედგენილ ნოტებს ბავშვთათვის, შემდეგ განაგრძობს სისტემატურ თანამშრომლობას საბავშვო ჟურნალებ „წითელ სხივში“ „ოქტომბრელსა“ და „პიონერში“.

თამარ შავერზაშვილი განსაკუთრებული ენერგიით მუშაობს საბავშვო მუსიკის დარგში, დაინტერესებულია შექმნას ბავშვებისათვის ჯანსაღი მუსიკა.

თ. შავერზაშვილის შედგენილი ნოტებით უხვად სარგებლობენ ჩვენ სკოლებში. მას ნოტებზე გადაღებული აქვს ჩვენი საბავშვო მწერლების: შიო მღვიმელის, გ. ქუჩიშვილის, გ. კაჭახიძის, ნ. დაფნარელის, მიმქრალის და სხვათა ლექსები.

თამარ შავერზაშვილს გამოცემული აქვს „საბავშვო სიმღერების კრებული“ 1927 წელს, ამჟამად გამოდის „მაუდის ქარხანა“, — მუსიკალური სურათი სიმღერითა და რითმული თამაშით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ნაკლოვანება, რომელიც ახასიათებს ქართულ საბავშვო ოპერებს. ამ ნაკლოვანებას გრძნობს თ. შავერზაშვილი და ამიტომ მოწადინებულია დაწეროს ქართული საბავშვო ოპერა. ეს სურვილი ძალიან კარგია, და ჩვენ ნოჩრ თაობასთან ერთად დიდი სიხარულით ველით თამარ შავერზაშვილის ამ მშვენიერი სურვილის განხორციელებას.

წერილი ბებიას

ქალაქიდან წერილს ვგზავნი
და მიიღე, ბები,
მახსოვს შენგან საჩუქრები
და ალერსი ბევრი.

ჩემო ბები, შენთანა ვარ
გაზაფხულზე კიდევ,
რომ ჩამოვალ, დამახვედრე
სიალერსე ისევ.

მიხარია, რომ შენ, ბები,
შეგასწავლე კითხვა,
და წერილს კი ლექსად გიძღვნი
დალაგებულ რითმად.

ბიბი ფელაძე.



ეროვნული ბიბლიოთეკა

1

სოფელ სურნალეთის შუა ადგილზე, მდინარე ბახვის წყლის გასწვრივ ვრცლად არის გაშლილი ტბაშავის დაბლობები. უწინ აქ ღრმა ჭაობები იდგა და თავისი შხამიანი ჰაერით წამლავდა სურნალეთსა და მოსკვანეთს.

მოსახლეობას განუწყვეტლივ აწამებდა ციება. ბავშვებს ბაიას ყვავილის ფერი ედო და მოხუცებს მუხლები ახალფეხადგმულ ბავშვებივით ეკეცებოდათ. სოფლელები ყოველმხრივ ცდილობდენ როგორმე გაქცეოდენ ამ ადგილებს, რომ ციებისათვის თავი დაეღწიათ. თვით ტბაშავა თავისი ადგილებით მავნე მხარედ იყო ცნობილი. ცრუმორწმუნე მოხუცები სხვადასხვაგვარ ზღაპრებს თხზავდენ ბნელი ჭაობების შესახებ და ბავშვებს აშინებდენ.

ჭაობნარებში გვიმრა და ჭილოფა ხარობდა, ხოლო ბნელ ღამესავით შავი ჭაობების ზედაპირზე მსუბუქად დაფარფატობდენ კოღოები, თოხისტარა ბუზები და მახინჯი ჭინჭრაქები. აციებდა ხალხს.

ტბაშავა კოღოების ბუდე იყო და სოფელს წამლავდა.

მოხუც მართასაც აციებდა. შვილები ქალაქში ჰყავდა და მარტოდ უვლიდა ოჯახს. არ ტოვებდა სურნალეთს. ზაფხულობით შვილისშვილებს ეპატიჟებოდა და, მიუხედავად იმისა, რომ ცუდ ადგილზე სახლობდენ, პატარა ყმაწვილები ნური და სანდრო მაინც მოდიოდენ ბებიასთან, რამდენიმე დღეს აქ დაყოფდენ და შემდეგ მშობლებთან ერთად, ბახმაროსკენ გაწევდენ. ელისაბედი კმაყოფილი იყო ამით. როცა მოახლოვდებოდა გაზაფხული, შვილს წერილს გაუგზავნიდა და სთხოვდა „ბაღნები“ გამომიგზავნეო, მაგრამ უკანასკნელ წელს ბებიამ თავი შეიკავა.

სოფლად ახალი საქმე დაიწყო. ელისაბედი იმ ახალმა საქმემ შიშით შეაზრიალა. 70 წლის მოხუცს ყოველ ეჭვს გარეშე მტკიცედ სწამდა, რომ ტბაშავის მიდამოები მავნე სულებით იყო სავსე, რომ ვინც აქ გაივლიდა, მას „უჟმური“ აჰყვებოდა და ციებას დააწყებინებდა... ყოველივე ეს შიშის ერუანტელს ჰგვრიდა მოხუცს, მაგრამ ამ საშიშ ადგილებს გაზაფხულის უკანასკნელ თვეს ახალი ხალხი სამტროდ მიესია. მაისის თვეში, როცა წითელი მთის კოლმეურნეობამ თესვა დაასრულა, კოლექტივის გამგეობა ტბაშავას ჭაობებს მიადგა. ხალხს ეჯავრებოდა კოღოების ბუდე. აგრონომების რჩევით აქ მანდარინის ბაღების გაშენება შეიძლებოდა, მხოლოდ არხების გაყვანა იყო საჭირო.

მაისის ბოლოს დაიწყო მუშაობა. კოლმეურნეები დიდი აღფრთოვანებით შეუდგენ არხების გაყვანას. სწრაფად გაყავდათ არხები. ჭრიდენ ხეებს. ტბაშავის დაბლობზე ქუხდა ცულები... მძიმედ ენარცხებოდა ხეები დაჭაობებულ მიწაზე.

შეშფოთებული ელისაბედი რეტდასხმული დაბორიალობდა ეზოში და სხვის საფიქრალს თვითონ ფიქრობდა. თავისიანებს აფრთხილებდა:

— უჟმური... უჟმური... დაგლუპავშ ყველაშ! – გოდებდა მოხუცი და უხაროდა, რომ შვილიშვილებს ამოსვლა არ მისწერა: კაი ქნეს, რომ არ მოვიდენ... ვინ დააკავებდა იგენს... ჭაობში ჩეირჩობოდენ ცელქი ბავშვები...

ელისაბედი კოღოსავით დაფარფატობდა ეზოში.

2

გაზაფხული მიიწურა. სანდრო და ნური ნაგვიანევად ესტუმრნენ სოფელს. ბებია ელისაბედი შვილიშვილებს არ მოელოდა და, როცა ეზოში ჩამოსული პიონერები დაინახა მოკლე ცისფერი შარვლებითა და წითელი ბანტით, ჯერ ვერ იცნო, შუბლზე ხელი აიფარა და ისე შესძახა ახალმოსულთ:

— რომელი ხართ, ნენავ, თქვენ?

ახალგაზრდებს ხმამაღლა გაეცინათ.

— ვერ გვიცანი, ბებია?

— უი!—წამოიკივლა ელისაბედმა და შვილიშვილები გულში ჩაიკრა, მაგრამ სწრაფად მოშორდა და მოწყენით დააცქერდა ყმაწვილებს. დამღრალ სახეზე საშინელი შიში გამოეხატა.

— კაი ქენით, რომ ამოდით, ბაღნებო... ნარა ჭკუით იყავით. ქვეყანა ინგრევა... საჭყალი ქვეყანა...

ბებიამ ქალაქელები მოიკითხა და ვახშმის მოსამზადებლად წავიდა, ხოლო ახალგაზრდები მუხლებამდე კოინდარში ჩაგორდენ.

მაისის მშვენიერი საღამო იყო. მცხუნვარე მზე მწვანე ტყეების იქით ნელა ეშვებოდა. აჭარა-გურიის მთებზე მსუბუქად ირეოდა მთებივით აღმართული სადაფისფერი ღრუბლები. ტბაშავის დაბლობებიდან მძლავრად მოდიოდა არეული ხმაური.

— გესმის?—წამოიძახა სანდრომ...

— მესმის,—მიუგო ნურიმ—აი ხმა იმ ადგილებიდან მოისმის, ბებია რომ ზღაპრებს მიყვებოდა... ალბათ, ჭაობებს აშრობენ...

ყმაწვილები წამოდგენ, მზის მცხუნვარეებით დამწვარი მკლავები აამოძრავეს, ერთმანეთს დაეჭიდენ. ვინ იცის, ძმების უთანასწორო ჭიდილი რით დამთავრდებოდა, ბებიას რომ არ დაეძახა. ყმაწვილები დაიღალნენ სირბილით, ლაპარაკით, მწიფე ხილის ჭამით გული იჯერეს და სახლს დაუბრუნდენ.

დაღამდა, ცა დაიბურა. ფორთოხლისფერი მთვარე ღრუბლებში გაეხვია. ჰაერი დანესტიანდა, დამძიმდა. ბავშვები სამზარეულოში შევიდენ. ბებია ელისაბედი რძეს ადუღებდა ყმაწვილები ცეცხლს მიუსხდენ.

ივახშმეს. ახალგაზრდები მადიანად შეექცეოდენ რძესა და პურს. ბებია არაფერს ჭამდა. მოწყენილი იჯდა, მკაცრად იყო შეკრული მისი სახის ნაკვთები. ვახშამი უხალისოდ დამთავრდა.

— ბებიკო, შენ რომ გვეუბნეოდი ტბაშავა ტყეში კაცი ვერ გაივლისო, დღეს რომ ამდენი ხალხი მუშაობდა, რაფერ არის აგი?

ელისაბედი წამოდგა და მკაცრი თვალებით დააცქერდა ყმაწვილებს...

— დაიწყეთ, ხომ? თქვენი საქმე არაა მაგი. იჩი, რა გითხრათ.. ჭკუით იყავით... ჭკუით იყავით... თქვე ღვთიშ პირიდან გადავარდნილებო... მე ავად ვარ, მაჩიებს. თქვენი დევნა არ შემიძლია... შარშანდელივით თუ დეიჭყეთ, მაშინ... მოშჩეხთ აქედან.. თქვენ პირი არ ქნათ ტბაშავასკენ, თვარა უჟმური ამოგყვებათ და თმაშ შეგრუჯავთ... რა გაჩინებს, თქვე მამაჯალლებო... არ მიჯერით, ხომ?

ბებია ელისაბედი დიდხანს ჩიფჩიფებდა..: რაღაც ზღაპრებს ყვებოდა. ქალაქიდან მოსულ პიონერებს ბებია ელისაბედის ლაპარაკი ხუმრობა ეგონათ, მაგრამ ასე როდი გამოდგა...

3

ტბაშავას ჭაობებში მუშაობა თანდათან ცხოველდებოდა. ხალხი დაუზარებლად ანადგურებდა კოლოების ბუდეს. ნური და სანდრო გაფაციცებით ათვალიერებდენ მათ გარშემო გაშლილ საქმიანობას, ხოლო ელისაბედს ნაკლებად მოსწონდა შვილიშილების საქციელი. ნური და სანდრო, მიუხედავად იმისა, რომ ბებია ძალიან უშლიდა, ხშირად ესწრებოდენ სოფლის პიონერთა კრებებს ელისაბედისათვის გაუგებარ რამეს ლაპარაკობდენ, ბებიას ზღაპრებს დასცინოდენ და სულ იქით ეჭირათ თვალი, საითაც კოლმეურნეთა შრომის ხმაური გაისმოდა. ბებია ელისაბედს მოთმინება ეკარგებოდა, ბავშვების დაშინების მიზნით გრძელი ჯოხი გამოჭრა და შვილიშვილები გააფრთხილა:

— პირი არ ქნათ ტბაშავისკენ, თვარა... მოგჩხებთ... იქოურობა უჟმურით არის შავშე..

ახალგაზრდებს „უჟმურის“ როდი ეშინოდათ, მაგრამ „მოჩხებას“ ძალიან ერიდებოდენ და იძულებული იყვნენ შორიდან ეთვალთვალებიათ კოლმეურნეების მუშაობისათვის. იქ თანდა-

თან ნადგურდებოდა კოლოების ბუდეები, ქუხდა ნაჯახები და გამაყრუებელი გრიალით ეშვებოდა მიწაზე ჭაობში აღზრდილი ხეები. პიონერებმა დიდხანს ითმინეს, მაგრამ ბოლოს „მოჩხებასაც“ თვალებში ჩახედეს და იქით წავიდენ, საითაც მათი სოფლელი ამხანაგები მიდიოდენ.

ერთ დილას ბებია ელისაბედი და მისი შვილიშვილები ნაადრევად გააღვიძა ზარის ხმამ. მოხუცი გონებაარეული წამოიჭრა ლოგინიდან, ზარის ხმას ყური მიუგდო, პირჯვარი გადისახა და წაიჩიფჩიფა:

— ღმერთო, შენ შეეჭიე მაგ შაჭყლეტს... რა დროის ჟარების რეკაა. გადაირიენ, გადაირიენ შაჩოდავები...

მეორე ოთახში ნურიმ ფრთხილად გააღვიძა ძმა.

— სანდრო, სანდრო, გაიღვიძე... არ დაგვაგვიანდეს. პირი დავიბანოთ...

— გვიანია?-თვალების ფშვნეტით წამოვარდა უმცროსი პიონერი.

გვერდის ოთახიდან ბებია ელისაბედი გამოვიდა.

— სუუ,-ტუჩებზე ხელი მიიფარა ნურიმ,— ფრთხილად, ბებიამ არ გაიგონოს; თვარა... ადექი, ფერადები მონახე: გაზეთი უნდა გამოვცეთ, დაგვჭირდება.

ზარებს რეკდენ. სოფელი იღვიძებდა. სადღაც ვიღაცა ბარს ლესავდა. კოლექტივში საგანგაშო დღე იყო გამოცხადებული. ტბაშავას ჭაობებზე უკანასნელად მიქონდათ იერიში. ბებია ელისაბედი პირჯვარის წერით მიდიოდა სამზარეულოსაკენ. „მაჭუხებენ“—ჩიფჩიფებდა იგი... უსიამოვნოდ ისაუზმეს.

— ბებია, მე ამ დილით პიონერების კრებაზე მივდივარ,-უთხრა საუზმის შემდეგ ნურიმ ბებიას და გაუცინა.

— შად? მაჩალეთ მე თქვენ... შინ დაეგდეთ. ბებია არ იყო ხასიათზე.

— ფეხი არ გადადგათ, თვარა... იმფერს მოგჩხებთ, რომ... მე ექიმთან მივალ... ოჯახს თქვენ უნდა მოუაროთ. რა თქვენი შაქმეა შოფლის თხუპნია ბაღნებთან შირბილი? შინ მეიჩადეთ მეთქი...

ნური ჩაფიქრდა: „ბებია ექიმთან მიდის? კარგი“.

— კარგი, ბებიკო, შინ დავრჩებით... ჰო, დავრჩებით.

ნური ლობესთან მესერზე გამბული თოვლივით თეთრ თიკანს გამოეთამაშა.

4

საღამო მოახლოვდა. აბრეშუმის ქსოვილივით თხელ ღრუბლებში გახვეული მზე საკმაოდ აცხუნებდა დედამიწას. ტბაშავას მიდამოებში ამ დღეს გადამწყვეტი მუშაობა მიმდინარეობდა. „კოლოების ბუდეები გადავაქციოთ ჩაისა და მანდარინის პლანტაციებად“—აი მიზანი. მთელი თემის მოსახლეობა იყო გამოსული სამუშაოდ. ასე მიმდინარეობდა გადამწყვეტი მუშაობა, როცა წელში მოხრილი ელისაბედი ფრთხილად მოფორთხავდა თემიდან. ტბაშავის მიდამოებს რომ მიუახლოვდა, არ სურდა, მაგრამ მაინც შეჩერდა... შეჩერდა, ყური მიუგდო ხმაურს და დანაოჭებული სახე კიდევ უფრო დაუნაოჭდა.

— ღორებივით იშვრებიან ტალახში, ვაი თქვე შაჩოდავებო,—ჩუმად წაიჩიფჩიფა მოხუცმა.

ვინ იყო საცოდავი—მთელი თემის მთლიანი მოსახლეობა, თუ ელისაბედი? წავიდა ძველი დრო... რამდენიმე წლის წინათ ბებია ელისაბედისათვის შემოსავლის წყაროც კი იყო ტბაშავა თავისი ჭაობებით: ვინმეს გააციებდა—„უკმური შეგყრია, ნენავ!!“—ეტყოდა ელისაბედი და შეულოცავდა... ხალხს სჯეროდა. ელისაბედი სახელგანთქმული მლოცველი იყო... დღეს კი ბავშვებსაც აღარ სჯერა მისი, „შელოჩვა“ არავის უნდა...

ია ჩხაიძე

5 - 158
ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმღერა

მუსიკა თ. შავერზაშვილისა

ტექსტი გ. კაჭახიძისა



მოზარდებში გმირები ვართ,
ტემპში გასული,
ხუთწლიანი გეგმის ირგვლივ
მხნედ დარაზმული.
დელი დელა, დელი დელა,
დელი დელასა.
მივცეთ დღეთა სიხარული
ძმებში ყველასა.
ჩვენში არის გაზაფხული
სამაისო მზე
დელი დელა, დელი დელა
დელი დელასა.
მივყვებით და კვლავ გავყვებით
ლენინიზმის გზას,
ვყოფილვართ და კვლავ ვიქნებით
ბრძოლებისთვის მზად.
რიგი რიგს რაზმი რაზმს
პიონერო წინ.